



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გრაკლა



გრაკლა ხერხებილა
გრაკლა (Spiraea
crenata)
კრაბანაფოთოლა
გრაკლა (Spiraea
hypericifolia)

გრაკლა, (Spiraea), მცენარეთა გვარი ვარდისებრთა ოჯახისა. 1- 2,5 მ სიმაღლის ბაფხულმწვანე ბუჩქებია. აქვთ მორიგეობით განლაგებული მარტივი, მთლიანი, დაკბილული ან სუსტად დანაკვეთული ფოთლები, ქოლგისებრ, ფარისებრ ან პირამიდულ ყვავილედეებში თავმოყრილი თეთრი,

ვარდისფერი ან მენამული ყვავილები, მრავალფოთლოვანი ნაყოფი. 100-მდე სახეობა გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერი ჰავის ქვეყნებში. საქართველოში ბუნებრივად იზრდება 2 სახეობა: კრაბანაფოთოლა, ანუ ჩვეულებრივი გ. (S. hypericifolia) და ხერხებილა გ. (S. crenata). პირველი გავრცელებულია ნახევარუდაბნოს, ველისა და ტყის სარტყლებში, ზოგან კი მაღალმთის ზონაშიც, სადაც გვხვდება მისი სუბალპური სახესხვაობა (var. subalpina). მეორე უფრო ქსეროფილურია და უმთავრესად სამხრ. მთიანეთის მთის შუა სარტყლამდე იზრდება. ქმნიან ბუჩქნარებს - გრაკლიანებს. ტიპოლოგიურად საქართველოში გრაკლიანები უმეტესად მარცვლოვნიან-ნაირბალახოვანი ფიტოცენოზებია, მათი უკიდურესად ქსეროფილური ვარიანტები კი - მარცვლოვნიანი. ჩვენში გრაკლიანები ჩვეულებრივ გაჩეხილი ტყის ადგილას გვხვდება და მეორეულ გრაკლიანებს წარმოადგენს. ბუნებრივ გრაკლიანებს გრუნტ-ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოში მოშენებულია გ-ის 30-მდე უცხო სახეობა. ხანგრძლივი და უხვი ყვავილობის გამო გ-ს ფართოდ იყენებენ დეკორ. მებაღეობაში, რგავენ ეულად, ჯგუფებად (ქვიან გორაკებზე), იყენებენ ბორდიურებად, ცოცხალ ღობეებად. ამრავლებენ თესლით, კალმით, ფესვის ამონაყარით, გადანჯენით და ბუჩქის დაყოფით. გ. კარგი თაფლოვანი მცენარეა. ფოთოლი შეიცავს C ვიტამინს და ხშირად იყენებენ ჩაის სუროგატად.

მ. სახოკია
